



ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №26

2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. ტყიბული

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების
გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N49 დადგენილება (www.matsne.gov.ge 26/12/2024; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.125. 016546).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ნ. 9219



იზოლდა ნემსაძე

2.1 თანადაფინანსება განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 100%-ით არაუმეტეს 500 ლარისა.

2.2. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) დაბადების მოწმობის ასლი (არასრულწლოვნის შემთხვევაში);

გ) შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშფაქტურა;

დ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100;

ე) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

2.3. არ ფინანსდება პაციენტის მიერ გადახდილი თანხა.

2.4. სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევთ წელიწადში ორჯერ.

3. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად ბენეფიციარის სამკურნალო, საოპერაციო, კვლევების თანადაფინანსება.

3.1. თანადაფინანსება განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხით.

4. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-5 წლის ჩათვლით ბავშვების და ასაკის პენსიონერების სტაციონარული გადაუდებელი მომსახურების დაფინანსება ტყიბულის მუნიციპალიტეტში განთავსებულ ჰოსპლიტლებში/კლინიკებში.

4.1. დაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა;

4.2. დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევთ წელიწადში ერთჯერ.

4.3. დაფინანსების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისმა წარმომადგენელმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;

ე) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100.

ვ) შესრულებული ქირურგიული ოპერაციისას ცნობა ან სხვა დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება) სამედიცინო დაწესებულებიდან გადასახდელი დავალიანების (გადავადების) თაობაზე;

5. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით სარგებლობის დროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას, რომლის გამოყენების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

6. დაფინანსების გადარიცხვისთვის სამედიცინო დაწესებულებამ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს სამედიცინო მომსახურების ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 2. კომუნალური გადასახადების პროგრამით ისარგებლებენ:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები 2006 წლიდან შპს „საქნახშირი“ შახტაში დაღუპულთა ოჯახები და დაშავებულ პირები (რომლებსაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით, წელიწადში 6 თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი და დეკემბერი);

1.1. კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 001 ქულამდეა, ყოველთვიურად 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

2.1. კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

2.2. პროგრამით მოსარგებლემ საბიუჯეტო წლის იანვრისა და ივლისის თვეში ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. დოკუმენტის წარმოდგენილობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

3. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილ სამოქმედო გეგმაში (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) მითითებული ოჯახი, მდგომარეობის გაუმჯობესებამდე, ყოველთვიურად არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარისა.

4. წინამდებარე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული პროგრამით ისარგებლებენ ბენეფიციარები, რომლებსაც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზის გადამოწმების შედეგად კომპანიების მიმართ სააბონენტო ბარათზე აქვთ დავალიანება ან/და კრედიტი არაუმეტეს 20 (ოცი) ლარისა.

მუხლი 3. ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა და პალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარება აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით – თითოეულზე გაიცემა 300 (სამასი) ლარი;

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების გამო ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეების დახმარება ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით (26 აპრილი) – თითოეულზე გაიცემა 300 (სამასი) ლარი;

3. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირთა ფულად დახმარება 9 მაისის ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით - თითოეულზე გაიცემა 500 (ხუთასი) ლარი.

4. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 1992-1993 და 1998 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარება 26 მაისის (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) დღესასწაულთან დაკავშირებით - თითოეულზე გაიცემა 1000 (ათასი) ლარი;

5. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება – თითოეულზე გაიცემა 1000 (ათასი) ლარი, აგვისტოს თვეში.

6. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ ვეტერანების დახმარება, 17 ოქტომბერს, ვეტერანის დღესთან დაკავშირებით – თითოეულზე გაიცემა 500 (ხუთასი) ლარი.

7. ფულადი დახმარება განხორციელდება ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

მუხლი 4. ოჯახებისა და ბავშვების დახმარების პროგრამა.

პროგრამის მოსარგებლენი არიან:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მაცხოვრებელი მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი).

1.1. ფულადი დახმარება განისაზღვრება ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 40 (ორმოცი) ლარი.

1.2. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) შშმ ბავშვების პირადობის მოწმობის ასლები;

ბ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები და რეგისტრაციის ბარათები;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ან ცნობა საცხოვრებელი ადგილის და ოჯახის შემადგენლობის შესახებ. დოკუმენტის წარმოდგენილობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

1.3. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახი (ორივე მშობელი და ბავშვები) რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები იყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

1.4. პროგრამით ვერ ისარგებლებს ბენეფიციარი რომელიც სარგებლობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დახმარებით.

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მართლაც მშობელი.

2.1. ფულადი დახმარება განისაზღვრება ყოველთვიურად ერთ ბავშვზე 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით.

2.2. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) ბავშვის ან ბავშვების დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლები;

ბ) მართლაც მშობლის დამადასტურებელი ცნობა სამოქალაქო რეესტრიდან;

გ) ბავშვის ან ბავშვების რეგისტრაციის ბარათ(ებ)ი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ან ცნობა საცხოვრებელი ადგილის და ოჯახის შემადგენლობის შესახებ. დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

3. ოჯახები შვილის შეძენის შემთხვევაში.

3.1. ფულადი დახმარება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

3.2. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

გ) არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ქალაქის და შესაბამისი სოფლის ამბულატორიის ოჯახის ექიმის ცნობა ბავშვის სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანის და ვაქცინაციის პირველი კურსის დასრულების შესახებ (სამედიცინო უკუჩვენების გათვალისწინებით);

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

3.3. სავალდებულოა ახალშობილი და ორივე მშობელი იყოს რეგისტრირებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მუხლი 5. სოციალური სერვისები-უფასო სასაბუღალტრო, სოციალური სამრეცხაო

1. სოციალური სერვისი – „უფასო სასაბუღალტრო“ არის ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის.

1.1. პროგრამით ისარგებლებენ:

ა) ბენეფიციარები, რომლებიც აღრიცხულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა 0-დან 65 001-მდეა;

ბ) ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა 65 001-ზე მეტია, თუმცა მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გამცემი კომისიის გადაწყვეტილებით (ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის მიერ საკითხის შესწავლის საფუძველზე წარდგენილი დასკვნის გათვალისწინებით) მათი ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისთვის.

2. ბენეფიციარად რეგისტრაციისთვის განცხადებასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე, თუ:

ა) ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მომართა აღნიშნულის შესახებ;

ბ) ბენეფიციარი თვის განმავლობაში ათი დღე არ სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით და აღნიშნული არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;

გ) ბენეფიციარი გარდაიცვალა.

4. უფასო კვება განხორციელდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარმოებული სიის მიხედვით.

5. სოციალური სერვისი - „სოციალური სამრეცხაო“ მიზნად ისახავს უფასო სასადილოს ბენეფიციარებისთვის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუხლი 6. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება

პროგრამით ისარგებლებენ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

1. შშმ პირები (0-დან 18 წლამდე).

1.1. ფულადი დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად - თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

1.2. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ბავშვის დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100;

დ) შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

1.3. პროგრამით ვერ ისარგებლებს ბენეფიციარი რომელიც სარგებლობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დახმარებით.

2. ცერებრალური დამბლით და პოლინეიროპათიური დაავადებული (18 წლის ზევით)

2.1. ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრება თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

2.2. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100;

დ) შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

3. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირები ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით;

3.1. მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირის სტატუსის მინიჭების შემდგომ ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებულ მონაცემთა ბაზაში ჩასართავად დახმარების მთხოვნელმა საბიუჯეტო წლის დასაწყისში უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირის სტატუსის ცნობა;

გ) საბანკო ანგარიში ნომერი;

დ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

4. I ტიპის (ინსულინდამოკიდებული) შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები

4.1. ფულადი დახმარება განისაზღვრება 6 თვეში ერთჯერ 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

4.2. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახალზე;

ბ) ბავშვის დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100;

დ) შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

4.3. პროგრამით ვერ ისარგებლებს ბენეფიციარი რომელიც სარგებლობს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დახმარებით.

5. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები 3-დან 18-წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის საქართველოს კურორტებზე სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების გაუჩერული დაფინანსება

5.1. ვაუჩერით მოსარგებლე პირი:

5.1.1. ვაუჩერით მოსარგებლე პირი თავად ირჩევს მომსახურების მიმწოდებელ მხოლოდ ერთ დაწესებულებას და სერვისის პირობებს;

5.1.2. ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარს;

5.1.3. ერთ ბენეფიციარზე და მის კანონიერ წარმომადგენელზე ვაუჩერის ღირებულება ჯამში განისაზღვრება 700 (შვიდასი) ლარით;

5.1.4. თუ, ერთ კანონიერ წარმომადგენელს ეყოლება ორი ან მეტი ბენეფიციარი, მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება მხოლოდ ერთი კანონიერი წარმომადგენლისა და ბენეფიციართა რაოდენობის მიხედვით;

5.1.5. ვაუჩერით ანაზღაურდება არანაკლებ 6 (ექვსი) დღე-ღამის მომსახურება;

5.1.6. ქვეპროგრამის მოსარგებლეებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაცემა ერთი ვაუჩერი.

5.2. ვაუჩერით სარგებლობისათვის ბენეფიციარმა ან/და მისმა წარმომადგენელმა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა წარმოადგინოს:

5.2.1. განცხადება მერის სახელზე;

5.2.2. ბენეფიციარ(ებ)ის და მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის/დაბადების მოწმობ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

5.2.3. ბენეფიციარის რეგისტრაციის ბარათი;

5.2.4. სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100;

5.2.5. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური ადგენს განცხადებ(ებ)ის რეესტრს მომართვიანობის საფუძველზე, რეესტრში არსებული რიგითი ნომერი ემთხვევა ვაუჩერის ნომერს, რომელიც გადაეცემა ბენეფიციარს ან/და მის კანონიერ მოსარგებლეს.

5.3. მომსახურების ანაზღაურება:

5.3.1. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი გაცემის თარიღიდან იმავე კალენდარული წლის პირველ ოქტომბრამდე.

5.3.2. მომსახურება ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ფლობენ ვაუჩერს;

5.3.3. ვაუჩერი ძალაშია მოსარგებლეთა პირადობის/დაბადების მოწმობ(ებ)ის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად;

5.4. ვაუჩერის განაღდება/ანგარიშგება

5.4.1. სერვისის მიმწოდებლისათვის ვაუჩერის მომსახურებისათვის გაწეული თანხის ანაზღაურება სავალდებულოა მომსახურების დასრულებიდან საბიუჯეტო წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

5.4.2. სერვისის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ვაუჩერი (დედანი) და ვაუჩერით მოსარგებლის დაბადების/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) სერვისის მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ინვოისი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- სერვისის მიმწოდებლის დასახელება;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საბანკო რეკვიზიტები;
- მომსახურების გაწევის ადგილის მისამართი;
- ვაუჩერით მოსარგებლე პირების სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- ვაუჩერის რეგისტრაციის ნომერი, თარიღი და ვაუჩერის გაცემის თარიღი;
- ვაუჩერით მოსარგებლე პირების მიერ სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების დაწყებისა და დასრულების თარიღი.

- ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ვაუჩერის ღირებულებას;

- სერვისის მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში);

გ) გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი, გაფორმებული სერვისის მიმწოდებელსა და ბენეფიციარის უფლებამოსილ წარმომადგენელს შორის, მიღებული მომსახურების დღეების გათვალისწინებით. თანდართული მომსახურების მიმღები პირის მიერ თითოეულ დღეზე ხელმოწერით დადასტურებული.

5.4.3. ინვოისი შედგენილი უნდა იქნეს სერვისის მიმწოდებლის მიერ სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების დასრულების შემდეგ.

5.4.4. ვაუჩერის არამართლზომიერი გამოყენება გამოიწვევს ვაუჩერის გაუქმებას.

5.4.5. არამართლზომიერი გამოყენების შემთხვევაში პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4.6. დაკარგვის შემთხვევაში ვაუჩერი განმეორებით არ გაიცემა.

5.5. ვაუჩერს და ბენეფიციართა რეესტრს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 7. ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა დახმარების პროგრამა

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებული ბენეფიციარების სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად.

1.1. ფულადი დახმარება განისაზღვროს ყოველთვიურად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

1.2. დახმარების მისაღებად მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა N100;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 8. სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა

პროგრამით ისარგებლებენ:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (დროებითი საცხოვრებელი ადგილი) და ფაქტობრივად მცხოვრები იმულებით გადაადგილებული ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 200 000 ქულას), შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებისა (ვისაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) და სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 30 001 ქულას) პირველი-მეექვსე კლასის მოსწავლეები.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად განსაზღვრული ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფას.

მუხლი 9. 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა და შინმოვლის სერვისი

პროგრამა ითვალისწინებს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარებას.

1.1. ხანდაზმული (100 წელი და მეტი ასაკის) მოქალაქის ფულადი დახმარების მისაღებად განმცხადებელმა ან მისმა წარმომადგენელმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

1.2. ხანდაზმული (100 წელი და მეტი ასაკის) მოქალაქის ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით ბენეფიციარს დახმარება გაეწევა წელიწადში ერთჯერ.

2. შინმოვლის სერვისი.

2.1. შინმოვლის პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა, ბენეფიციარების ჰიგიენური და საცხოვრებელი პირობების მოწესრიგება თვეში 4-ჯერ (სავალდებულო ვიზიტი კვირაში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2-ჯერ) და ყოველთვიურად ორჯერ (თვის 13-15 და 28-30 რიცხვებში) საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა, გარდა უფასო სასადილოს ბენეფიციარებისა.

2.2. პროგრამაში ჩასართავად მოქალაქემ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა N100;

გ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

2.3. ბენეფიციარის მდგომარეობას ამოწმებს ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური, სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური დახმარების გამცემი კომისია.

მუხლი 10. გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურების პროგრამა.

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა - 300 ლარის ოდენობით.

1.1. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად გარდაცვლილის ოჯახის წევრმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) გარდაცვლილი ომის ვეტერანის (დევნილის) სტატუსისა და გარდაცვალების მოწმობის ასლები;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 11. საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების პროგრამა

1. სიღატაკის რისკის ქვეშ (არ აქვთ თავშესაფარი) მყოფი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფას, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ ოჯახის ქულა 65 001 ქულამდეა - კომისიის მიერ ფასდება 5 (ხუთი) ქულით;

ბ) სამედიცინო დოკუმენტის ფორმა №100 (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან მუდმივად მწოლიარე, ან აქვს დარღვეული ფსიქიკური ფუნქცია, თუ ოჯახში არის შშმ პირი ან შშმ პირები) არსებობა კომისიის მიერ ფასდება 4 (ოთხი) ქულით;

გ) თუ ბენეფიციარი მარტოხელა მშობელია - კომისიის მიერ ფასდება 4 (ოთხი) ქულით;

დ) მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) თითოეულ ბავშვს კომისია ანიჭებს 1 (ერთი) ქულას.

ბენეფიციარის მოთხოვნა საცხოვრისით დაკმაყოფილდება, თუ მას სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ, შეკრებითობის პრინციპით, მიენიჭება მინიმუმ 9 (ცხრა) ქულა.

1.1. საცხოვრისით უზრუნველსაყოფად განცხადებასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განმცხადებლის და ოჯახის წევრების (არსებობის შემთხვევაში) პირადობის მოწმობის ასლები;

ბ) სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №100 („ბ“ კრიტერიუმის შემთხვევაში);

გ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. დოკუმენტის წარმოდგენილობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე;

დ) მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი („გ“ კრიტერიუმის შემთხვევაში); ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები („დ“ კრიტერიუმის შემთხვევაში);

ე) ბენეფიციარის ან მისი ოჯახის წევრების მიერ ქონების ფლობის თაობაზე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

1.2. საცხოვრისის შესაძენად ფულადი დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 18 000 (თვრამეტათასი) ლარი.

1.3. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახისათვის მოხდეს სულადობის გათვალისწინებით საცხოვრისის შეძენა, ფულადი დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 18 000 (თვრამეტათასი) ლარი.

1.4. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საცხოვრისის შეძენისას ანგარიშსწორება მოხდება მოძიებული ბინის მეპატრონის საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორებით.

2. ხანძრით (მხოლოდ საცხოვრებელი სახლის, ბინის) დაზარალებული ოჯახების დახმარებას.

2.1. დახმარების მოთხოვნა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი ტყიბულის რაიონული სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა ზარალის ოდენობის შესახებ;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

2.2. ხანძრით დაზარალებული ოჯახის დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 8 000 (რვათასი) ლარით.

3. მიმღე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მაცხოვრებელ ოჯახების დახმარება (საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში), რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 120 001 ქულამდეა.

3.1. დახმარების მთხოვნელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. დოკუმენტის წარმოდგენილობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

3.2. სოციალური დახმარების გამცემი კომისია საკითხს განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის საფუძველზე.

3.3. ფულადი დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 2500 (ორათასხუთასი) ლარისა.

4. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახებისთვის საცხოვრისის შეკეთებას, მათ შორის შიდა სამუშაოების შემთხვევაში.

4.1. სოციალური დახმარების გამცემი კომისია საკითხს განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის საფუძველზე.

4.2. დაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტში დადგენილი თანხისა.

მუხლი 12. ონკო და ლეიკემიით, დაავადებული მოქალაქეების ფულადი დახმარება

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოდაავადებულები, რომლებსაც ესაჭიროებათ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია, სხივური თერაპია, ციტოსტატიკური თერაპია და ტარგეტული თერაპია.

1.1. დახმარების მისაღებად მოქალაქემ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100;
- გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

1.2. ფულადი დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2. ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეები.

2.1. დახმარების მისაღებად მოქალაქემ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100;
- გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

2.2. ფულადი დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა

პროგრამით ისარგებლებს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები.

1.1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) საბანკო ანგარიშის ნომერი;
- გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100 (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. დოკუმენტის წარმოდგენილობის შემთხვევაში ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური

სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

1.2. ერთჯერადი ფულადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარით.

1.3. განცხადებას განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების გამცემი კომისია“, ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის შესაბამისი მოხელისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის ერთობლივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 14. ეპილექსიით და პარკინსონიზმით დაავადებულთა დახმარების პროგრამა

1. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწევა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ეპილექსიით და პარკინსონიზმით დაავადებულ მოქალაქეებს.

1.1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

1.2. დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 15. ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა

1. პროგრამა ითვალისწინებს, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახებისათვის იმ საჭიროებების მოგვარებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალური სოციალური პროგრამებით და აუცილებელია ზემოხსენებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვა გადაწყვეტილების მიღების მიზნით განხორციელდეს სოციალური დახმარების გამცემი კომისიის სხდომაზე.

მუხლი 16. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სატატუსის მქონე პირთა დახმარება

პროგრამით ისარგებლებს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირი.

1.1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა განცხადებასთან უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საბანკო ანგარიშის ნომერი;

გ) შემაჯავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა და ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ მინიჭებული სტატუსი (მოქმედების ვადის შესაბამისად) ან/და საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის კოდექსი“-ს 1261 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი უწყების მიერ მიღებული დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ.

1.2. ფულადი დახმარების თანხა განისაზღვრება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 17. განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები 2-დან 16 წლამდე ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებას, რომლებიც რეაბილიტაციას გაივლიან ტყიბულის მუნიციპალიტეტში განთავსებულ შესაბამის დაწესებულებაში, რომელსაც შესაბამის სფეროში აქვს არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება და წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი შემადგენლობით: მულტიდისციპლინარ-ინტერდისციპლინური გუნდის ნევროლოგი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ქვევითი თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი.

1. პროგრამით ისარგებლებენ:

1.1. განვითარების ზოგადი აშლილობა (F84.0-F84.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი;

ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი;

გ) F84.2 რეტის სინდრომი;

დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა;

ე) F84.5 ასპერგერის სინდრომი;

ვ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი;

ზ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

2.2. სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა (F78.0-F78.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია;

ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას;

გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი;

დ) F78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა.

2. პროგრამით სარგებლობისათვის ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის პირადობის ან/და დაბადების მოწმობის ასლი;

გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა N100, რომელშიც მითითებული იქნება პროგრამისთვის ვალიდური დიაგნოზები ICD10-ს მიხედვით;

3. დაფინანსება განისაზღვრება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის თვეში მიღებული მომსახურების (სარეაბილიტაციო კურსი – 10 საათი) თანხის ანაზღაურებას არაუმეტეს 220 ლარისა, ან ფაქტობრივი მომსახურების შესაბამისად ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

3.1. თვეში 10 საათის სარეაბილიტაციო კურსის განსაზღვრის შემთხვევაში სეანსების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7 ვიზიტს.

4. ბენეფიციარი არასაპატიო მიზეზით მინიმალურზე ნაკლები რაოდენობის სეანსების მიღების შემთხვევაში იღებს მომსახურების შეწყვეტაზე წერილობით გაფრთხილებას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებლის მიერ შეუწყდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. გამომდინარე აქედან, ჩატარებული სეანსების ანაზღაურება მოხდება სერვისის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად.

5. პროგრამით სარგებლობის დროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას, რომლის გამოყენების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

6. დაფინანსების გადარიცხვისთვის სამედიცინო დაწესებულებამ შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოს რეაბილიტაცია/აბილიტაციის კურსის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 18. სტუდენტთა სწავლის დაფინანსება.

1. 50 და 70-პროცენტის გრანტით ჩარიცხული სტუდენტთა თანადაფინანსება.

1.1. პროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების დაფინანსებას, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 50 და 70-პროცენტის გრანტით ჩარიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

1.2. დაფინანსება ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ტყიბულის მუნიციპალიტეტი.

1.3. დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება სასწავლო წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად სტუდენტის გადასახდელი თანხის გათვალისწინებით (ყოველ სემესტრში), მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის (2250 ორი ათას ორმოცდაათი ლარი) 30%.

1.4. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის დაფინანსებას, რომლის აკადემიური მოსწრება წინა სემესტრის მონაცემით არის 51 ქულიდან 100 ქულამდე, ხოლო პირველი კურსის პირველი სემესტრის შემთხვევაში – გრანტის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

1.5. პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დევნილის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში).

დ) ცნობა სასწავლებლიდან, რომელშიდაც მითითებული იქნება: საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სემესტრი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასების შესახებ (100-ქულიანი სისტემიდან), სასწავლო წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასური, რა ოდენობის გრანტით სარგებლობს სტუდენტი, სტუდენტის გადასახდელი თანხის ოდნობა.

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები (ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი).

1.6. პროგრამით ისარგებლებენ 2024-2025 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 50 და 70-პროცენტიანი გრანტის მფლობელი სტუდენტები.

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ომის ვეტერანების და ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირების შვილების/შვილიშვილების სწავლის დაფინანსების პროგრამა.

2.1. პროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ომის ვეტერანებისა და ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირების შვილების/შვილიშვილების სწავლის დაფინანსების პროგრამას.

2.2. დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება სასწავლო წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად სტუდენტის გადასახდელი თანხის გათვალისწინებით (ყოველი სემესტრში), მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის (2250 ორიათასორასორმოცდაათი ლარი) 50 %.

2.3. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის დაფინანსებას, რომლის აკადემიური მოსწრება წინა სემესტრის მონაცემით არის 51 ქულიდან 100 ქულამდე, ხოლო პირველი კურსის პირველი სემესტრის შემთხვევაში – სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

2.4. პროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ომის ვეტერანისა და ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სტუდენტის დაბადების მოწმობა, მშობლის დაბადების მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში);

ე) ცნობა სასწავლებლიდან, რომელშიდაც მითითებული იქნება: საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სემესტრი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასების შესახებ (100-ქულიანი სისტემიდან), სასწავლო წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასური, რა ოდენობის დაფინანსებით სარგებლობს სტუდენტი, სტუდენტის გადასახდელი თანხის ოდნობა;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები (ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი).

2.5. პროგრამით ისარგებლებენ 2024 წლის და შემდგომი წლების სტუდენტები.

3. 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტების დაფინანსება.

3.1. პროგრამით ისარგებლებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულები.

3.2. დაფინანსება ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ტყიბულის მუნიციპალიტეტი.

3.3. დაინტერესებულმა პირებმა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სწავლის დამადასტურებელი ცნობა საჯარო ან კერძო სკოლიდან;

დ) ცნობა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ;

ე) საბანკო ანგარიშის ნომერი.

3.4. დაფინანსება განისაზღვრება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

თავი II

სოციალური დახმარების ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 19. სოციალური დახმარების ორგანიზება

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნის, გაცემის და ამ პროცესებზე სამეჯენტო კონტროლს უზრუნველყოფს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური (შემდგომში - სამსახური).
2. სამსახური ამოწმებს მერიაში შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ მზადდება ბრძანების პროექტი მერისათვის წარსადგენად, გარდა ამ წესის მე-9; მე-11; მე-13 და მე-15 მუხლებით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის შემთხვევებისა. შემოსულ განცხადებებში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ სამსახური მიმართავს განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად.
3. ამ წესის მე-9; მე-11; მე-13 და მე-15 მუხლებით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის შემთხვევაში სამსახური ამოწმებს მერიაში შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, შემოწმების შემდეგ სრულყოფილი დოკუმენტაციის არსებობისას განცხადებას განიხილავს სოციალური დახმარების გამცემი კომისია.
4. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესწორებები (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა) ბენეფიციართა საქმეში. ცვლილებებში იგულისხმება ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სარეიტინგო ქულის ცვლილება და ა. შ.

მუხლი 20. კომისიის მიერ განცხადების განხილვა

1. კომისია იქმნება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ამ წესის მე-9; მე-11; მე-13 და მე-15 მუხლებით გათვალისწინებული დახმარების გაცემის საკითხის განხილვის მიზნით (რომლის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით), რომელიც შეიმუშავებს შესაბამისი გადაწყვეტილების დოკუმენტის პროექტებს. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.
2. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიას და უძღვება სხდომას. თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში კომისიის სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. კომისიის მდივანი კომისიის წევრებთან ერთად ხმის უფლებით მონაწილეობს საკითხის განხილვაში, პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის შედგენაზე.

მუხლი 21. კომისიის ოქმები

1. კომისიის ყოველი სხდომისას დგება შესაბამისი ოქმი.
2. კომისიის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება აისახება კომისიის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის ის წევრი, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას წერილობით წარადგენს თავის მოსაზრებას, რომელიც დაერთვება სხდომის ოქმს.
3. კომისიის სხდომის ოქმები იკრიბება ცალკე საქაღალდეში რიგითობის მიხედვით. კომისიის სხდომის ოქმების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი.

მუხლი 22. სოციალური დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარება გაიცემა და ბენეფიციარები დახმარებას მიიღებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით პირად საბანკო ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.
2. მოსახლეობის სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით განსაზღვრული დაფინანსება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით მითითებული სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ანგარიშსწორების ანგარიშზე. წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს დოკუმენტის გამცემი სამედიცინო დაწესებულება.